პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 237 (12749) | ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

ვეთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განმახორციელებელი კომისიების მუშაობაში, წარმოების ხასიათისა და მის წინაშე

ყველაზე ადრე პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. მილიონობით კომუნისტი მკაცრად განიხილავს, თუ როგორ მუშაობს სკკპ პროგრამის და წესდების, პარტიის XXII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ისინი განაზოგადებენ შეძენილ გამოცდილებას, ამხილებენ და აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, სახავენ მათი აღმოფხვრის გზებს, განსაზღვრავენ მომავლის პრაქტიკულ ამოცანებს.

ანგარიშგება-არჩევნები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა პარტიის ცხოვრებაში. ახლა საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მოქმედებს სამას ათასზე მეტი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, 450 ათასზე მეტი საამქრო ორგანიზაცია და პარტიული ჯგუფი. პარტია მათი საშუალებით ხელმძღვანელობს მასების, ახორციელებს თავის პოლიტიკას, თავის გადაწყვეტილებებს.

ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით ზრუნავენ იმისათვის, რომ ამაღლონ პირველადი ორგანიზაციების როლი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

დიდია ახლანდელი საანგარიშო-საარჩევნო კრებების მნიშვნელობა. როგორ მოეწყობა ეს კრებები, რა პრაქტიკულ დასკვნებს გამოიტანენ კომუნისტები თავიანთი მუშაობის ანალიზიდან, რა ამოცანებს დაისახავენ, ვის აირჩევენ ბიუროში, კომიტეტში, მდივნად — ყოველივე ეს დიდ გავლენას მოახდენს პარტორგანიზაციების, საწარმოთა კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების შემდგომ ცხოვრებასა და საქმიანობაზე.

მთელ რიგ ორგანიზაციებში გამართული კრებები მოწმობენ იმას, თუ როგორ გაიზარდა კომუნისტთა მომთხოვნელობა თავიანთი პარტბიუროებს, კომიტეტების, მდივნების საქმიანობისადმი, პარტიის თვითეული წევრისადმი, სამეურნეო ხელმძღვანელობის დონისადმი. ეს იმ უდიდესი მუშაობის შედეგია, რომელიც პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელეს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და განვითარებისათვის, ეს კომუნისტთა იდეური დონის შემდგომი ამაღლების შედეგია. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დიდი წარმატებებით, თავიანთი კოლექტივების მიღწევებით გახარებულნი, ისინი მიღწეულ წარმატებებს უფარდებენ იმ დიად და აღმფრთოვანებელ მიზნებს, რაც უნდა განხორციელდეს პარტიის პროგრამით, ჩვენი გრანდიოზული გეგმებით.

და სწორედ ამიტომ ჯანსაღ კმაყოფილებას მიღწეულის გამო, მოპოვებულ გამარჯვებათა სიხარულს ორგულად უხამებენ პარტიულ კრებებზე ნაკლოვანებათა მწვავე, პრინციპულ კრიტიკას, რეზერვებისა და შესაძლებლობების გონივრულ ანალიზს, ბოლშევიკურ შეურიგებლობას უძრაობისადმი, რუტინისა და უდარდელობისადმი. ეს ნათლად გვიჩვენებს მოსკოვის, ლენინგრადის, ურალის, დონბასისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებისა და რაიონების სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციების კრებებმა.

ცხადია, კრებების წარმატება, კომუნისტთა აქტივობა უმნიშვნელოვანეს საკითხთა განხილვისას, კრიტიკის დონე მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება პარტბიუროსა თუ პარტკომის საანგარიშო მოხსენების შინაარსით, ტონითა და მიზანდასახულობით. ზეგრელე, არაკრიტიკული, „ორჭოფული“ ანგარიში ხელს ვერ შეუწყობს იმას, რომ სულ უფრო სრულად გამოვლინდეს კოლექტიური აზრი და გამოცდილება.

ახლანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტები სერიოზულად გმობენ ამგვარ მიდგომას მუშაობის ანალიზისადმი. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი მოიყვანა ახლახან გაზეთმა „ლვოვსკაია პრავდამ“ კორესპონდენციაში, რომელიც მიეძღვნა გაზის აპარატურის ქარხნის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებას. ეს საწარმო ლვოვში ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა, მისი წარმატებანი უდავოა. ამან, ეტყობა, რამდენადმე თავბრუ დაახვია პარტბიუროს მდივანს გ. ი. ლუგოვოისა და ზოგიერთ სხვა მუშაკს. პარტბიუროს საანგარიშო მოხსენებაში ქარხნის მუშაობის ნაკლოვანებებზე, წარმოების რეზერვებზე მხოლოდ გაკვრით, თითო-ოროლა ზოგადი ფრაზით იყო ნათქვამი. ასეთი ტონით გამოვიდნენ კრებაზე პირველი ორატორებიც. მაგრამ აი ტრიბუნაზე ავიდა კომუნისტური შრომის კოლექტივის ბრიგადირი ნ. მ. კუკობა. მან დინჯად და დამაჯერებლად ილაპარაკა პარტბიუროს მუშაობის ნაკლოვანებებზე, საწარმოს შესაძლებლობებზე. ვიღაცამ მისცა რეპლიკა, სჯობს საკუთარ ბრიგადაზე ილაპარაკოო.

— თქვენ ხელს ნუ მიშლით, — უპასუხა ამს. კუკობამ. — თუ როგორ მუშაობს ჩვენი ბრიგადა, ყველამ იცის. მაგრამ ხომ შეგვიძლია უკეთ მუშაობა. დღეს უნდა ვილაპარაკოთ

ПРАВДА

9 ოქტომბრის მოწინავე

□

წარმოების რეზერვებზე, დაგეგმვის ნაკლოვანებებზე, რომლებიც ხელს გვიშლიან მოვიპოვოთ უფრო კარგი შედეგები.

კრება საქმიანად წარიმართა. მოწინავე კოლექტივის ბრიგადირმა, შემდეგ კი სხვა კომუნისტებმა ილაპარაკეს საწარმოს არარიტმული მუშაობის მიზეზებზე, დასახეს იერიშობანას აღმოფხვრის გზები.

კომუნისტები პირველ რიგში აყენებენ ზრუნვას წარმოებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, სახალხო ფულის თვითეული მანეთის, თვითეული კაპიკის გონივრული, ეკონომიური გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მისი თვითღირებულების შემცირებისათვის. განსაკუთრებული მომთხოვნელობით უნდა გამოირჩეოდნენ საანგარიშო-საარჩევნო კრებები ქიმიური მრეწველობის საწარმოთა და მშენებლობათა პარტორგანიზაციებში, რომლის დაჩქარებული განვითარება პარტიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომუნისტები მთავარ ყურადღებას უთმობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ძირეულ საკითხებს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზებულად დამთავრების ამოცანებს. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მათ კრიტიკულად უნდა განიხილონ წლის შედეგები, დასახონ მეურნეობის ინტენსივობის ამაღლების გზები, რათა უფრო მცირე დანახარჯებით აწარმოონ მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, ტექნიკური კულტურები და სხვა პროდუქტები. როგორ არის განლაგებული კომუნისტებთა, კომკავშვილთა ძალები, არიან თუ არა ისინი გადამწყვეტ უბნებზე? რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს ადამიანთა სწავლებისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის? რომელი უბნები უნდა განვამტკიცოთ კადრებით, ადამიანებით, რომლებსაც უყვართ და იცნობენ საქმეს? ეს და სხვა საკითხები უნდა იყოს სოფლის კომუნისტთა ყურადღების ცენტრში.

მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ამოცანებს მჭიდროდ უკავშირებენ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერების საკითხების განხილვას. მეტად საჭიროა გავერკვეთ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განმახორციელებელი კომისიების მუშაობაში, წარმოების ხასიათისა და მის წინაშე მდგომი ამოცანების შესაბამისად განვსაზღვროთ, რა კომისიები უნდა ავირჩიოთ ახლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობას, რომლებიც ჯერ მხოლოდ პირველ გამოცდილებას იძენენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპების სულისკვეთებით მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. საანგარიშო-საარჩევნო კრებები გვიჩვენებს, რომ კომუნისტები, როგორც წესი, ღრმად, მომთხოვნელობით განიხილავენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ისინი არკვევენ, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს იმ ამოცანების შესასრულებლად, რაც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა, როგორ უნდა გაავრცელონ იდეური გავლენა მთელ კოლექტივზე, მისცენ იდეოლოგიურ მუშაობას ნამდვილად მებრძოლური, შეტევითი ხასიათი, ჩაებან ამ მუშაობაში ყველა კომუნისტი, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია, გააქტიურონ აღმშრდელობითი მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება. ასეთი მაღალი მომთხოვნელობის სულისკვეთებით უნდა იყოს გამსჭვალული საანგარიშო-საარჩევნო კრებები ყველა პარტორგანიზაციაში.

ანგარიშგება-არჩევნების მსვლელობაში პრაქტიკულად ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების მოთხოვნა ბიუროს, პარტკომების შემადგენლობის სისტემატური განახლებისა და ხელმძღვანელობის თანამშრომლების შესახებ. არჩევნების სწორად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კომუნისტებმა თავისუფლად და საქმიანად განიხილონ თვითეული კანდიდატურა, მკაცრად დაიცვან არჩევნების დადგენილი წესი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება ითვალისწინებს, რომ ყოველ მორიგ არჩევნებზე პირველადი ორგანიზაციების პარტკომებისა და ბიუროების შემადგენლობა უნდა განახლდეს სანახევროდ, ხოლო პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი შეიძლება არჩეულ იქნან ზედიზედ სულ ბევრი ორი მოწვევის ვადით. ზოგან კი ცდილობენ გვერდი აუარონ წესდების ამ მოთხოვნებს. უამრავის მხარეზე, მაგალითად, პარტორგანიზაციების ათობით მდივანი არჩეულია მესამე ვადით, ხოლო ზოგიერთი მეხუთე და მეექვსე ვადითაც. საკითხავია, რატომ არ შეამჩნია, არ გაასწორა ეს და სხვა დარღვევანი ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილებამ?

ანგარიშგება-არჩევნების შედეგი პირველადი ორგანიზაციების როლის შემდგომი ამაღლება უნდა იყოს. და ამას მით უფრო სწრაფად და უკეთ მივაღწევთ, რაც უფრო მეტად დაიბარებიან პირველადს ორგანიზაციებს რაიკომები, საქალაქო კომიტეტები, სოფლის საწარმოო სამმართველოების პარტკომები, საბჭოთა მეურნეობათა პარტკომები, საოლქო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები. მათი უპირველესი მოვალეობაა იზრუნონ იმისთვის, რომ ახლად არჩეული პარტიული ბიუროები, კომიტეტები, მდივნები და პარტიული ჯგუფების ორგანიზატორები მაშინვე შეუდგნენ საქმეს, რომ პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელებად ახალ ათასობით ახალი აქტივისტის მოსვლას შედეგად მოჰყვეს პარტიული მუშაობის ყოველმხრივი გაძლიერება საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

საქართველოს პროფესიულ კავშირთა XII ყრილობა რესპუბლიკის მუშებისა და მოსამსახურეების მილიონიანი არმიის სახელით მხურვალედ და გულითადად მიესალმება საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის ისტორიული XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, მთელი თავიანთი საქმიანობა მოახმარეს მშრომელთა ფართო მასების დარაზმვას შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

რესპუბლიკის პროფკავშირები დაუცხრომლად ზრდიან მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის აქტივობას და მათ მეცადინეობას ახმარენ სახალხო მეურნეობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვას.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები ბეჯითად და თანამიმდევრულად ავითარებენ კომუნისტური შრომისათვის სახელოვან მოძრაობას — სოციალისტური შეჯიბრების ამ უმაღლეს ფორმას, ხელს უწყობენ წარმოების აურაცხელი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს, დაუცხრომლად ზრუნავენ მათი განმრთელობისათვის, დასვენებისათვის, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირობებში განუზომლად იზრდება პროფკავშირულ ორგანიზაციათა როლი და მნიშვნელობა. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა განვავითაროთ მასების შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება და კიდევ უფრო ფართოდ ჩავაბათ ისინი კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროფესიულ კავშირთა XII ყრილობა სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები მუდამ მტკიცედ დაიცავენ პარტიის მარქსისტულ-ლენინურ ხაზს, კვლავაც იქნებიან პარტიის საიმედო დასაყრდენი კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, პირნათლად შეასრულებენ მშრომელთა ფართო მასების ორგანიზატორებისა და აღმზრდელების როლს, კომუნიზმის ლენინური სკოლის როლს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და შთამაგონებელ ძალას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მძლავრ და ურღვევ ერთობას!

საქართველოს პროფესიულ კავშირთა XII ყრილობა.

1963 წლის 7 ოქტომბერი. ქ. თბილისი.

შრომითი საჩუქრები ინიციატორებთან

განუწყვეტლად გაგუნებენ ელექტროსადნობი ღუმელები. წამითაც არ ჩერდება ინდუსტრიული მაჯისცემა, მეტალურგთა შემართება და შემოქმედებითი შრომა. ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი — სოციალისტური შეჯიბრების თაოსანი ვაჟაკაცური შერკინებით იღებს ძნელ ზღუდეებს, იპყრობს ახალ მწვერვალებს...

პირველი სადნობი საამქრო. მას გამოცდილი ინჟინერ-მეტალურგი ლ. მაღლაკელიძე თავკაცობს. კარგახანია ამ საამქროს კოლექტივს ასე გამართულად და რენტაბელურად არ უმუშავნია. სადნობ ღუმელებს ვეფხვებივით დასტრიალებენ კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. კობახიძე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ნანიტაშვილი ხელმძღვანელობენ. გონივრულად წარმართავს დნობის პროცესს სოციალისტური შრომის გმირის ბ. მელქაძის ცვლა.

ეს საამქრო ქარხნის გულია. ძირითადად აქ წყდება გეგმის შესრულების ბედი. აი მესამე სადნობი ღუმელი. მას კომუნისტური შრომის ბრიგადები მართავენ. ბრიგადებს სახელმოხვეჭილი მდნობელები გ. კვეტენაძე, გ. ნანიტაშვილი, ვ. ნებიერიძე, შ. სხილოძე და დ. ღვინჭიალია უძღვებიან. ამ ღუმელმა ცხრა თვეში ასეულ ტონობით ზეგეგმითი ძვირფასი შენადნობი მისცა სამშობლოს და 1.994.900 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგა. ამ ღუმელს არ ჩამოუვარდება მეექვსე ღუმელი, სადაც ზ. ბუცხრიკაძის, ს. ფერაძის, ვლ. ყანჩაველის, ზ. ქავთარაძის და შ. დადუნაშვილის კომუნისტური შრომის მკლავმოუღლელი ბრიგადები შრომობენ. ისინი უძღვებიან კაზმის მომზადებას, წარმართავენ ლითონის დნობის ტექნოლოგიურ პროცესს, და რა ზოგპარული სანახავია, როცა ღუმელიდან მოედინება შენადნობთა თვალისმომჭრელი ნიაღვარი.

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ქალი ლ. ქათამაძე უნარიანად უძღვება მეორე საამქროს სახელოვან კოლექტივს. აქ სახელი გაითქვეს კ. მდივნის, კ. ცქიფურიშვილის, რ. სხლოძის კომუნისტური შრომის ბრიგადებმა. მათი ფოტოსურათები ამშვენებს საპატიო ფიგურს, საპატიო დაფას, ხოლო მათი საწარმოო მიღწევები საქარხნო მაჩვენებლების თავსამკაულია.

ზესტაფონელი მეტალურგები განაგრძობენ მეცნიერებთან შემოქმედებითი თანამეგობრობის კარგ ტრადიციას. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერთა და ქარხნის კოლექტივის დაუღალავი მუშაობით აქ აითვისეს და დანერგეს ახალი შენადნობის ტექნოლოგია. იგი მარტენის ღუმელებში იხმარება, როგორც ფოლადის კომპლექსური გამჟანგველი.

ქარხანაში მრავალმხრივ და ნაყოფიერ მეცნიერულ შრომას ეწევიან მეტალურგიის ინსტიტუტის პროფესორები მ. კვეკლიძე და ალ. ხვეჩია, ამავე ინსტიტუტის ფოლადის ლაბორატორიის უფროსი, ტექნიკის მეცნიერების კანდიდატი ე. ბერეჟიანი. მათ გადაწყვეტეს მეტალურგიაში ვიათურის ღარიბი მადნების გამოყენების, მარგანეცის დაგუნდაგების, მონოკაზმის მიღების, მეტალური მარგანეცის ზოდებად მიღების პრობლემები და ამით დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე გააკეთეს. ამ საშვილიშვილო საქმეში თავანთი წვლილი შეიტანეს ქარხნის მდნობელებმა, ძველი და ახალი თაობის ინჟინერ-სპეციალისტებმა.

მეტალურგთა კლუბში ყურადღებას იქცევს მსოფლიო რუკა, რომელზეც წითელი ხაზებით უკავშირდება ზესტაფონი იმ შორეულ ქვეყნებს, სადაც ქართული ძვირფასი ფეროშენადნობები მიდის. უნებლიეთ გაგახსენდა მიმდინარე წლის 16 მაისის გაზეთ „იზვესტიის“ სტატია, სადაც ვკითხულობთ:

... „აი ავიღოთ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. აქ არა მარტო იმაზე ზრუნავენ, რომ უკეთ, წარმატებით შეასრულონ დავალება, არამედ ფიქრობენ იმაზე, რომ მიიღონ კარგი ლითონი. ჩვენი ქვეყნის 151 საწარმო და აზიისა და ევროპის 24 ქვეყანა იღებს ფეროშენადნობებს ზესტაფონიდან — და ყველა კმაყოფილია... არც ერთი რეკლამაცია!“.

ამ შეფასებას, როგორც ამბობენ, კომენტარი არ სჭირდება. მაგრამ ეს სიტყვები უფრო ხმამაღლა შეიძლება გავიმეოროთ ახლა, როცა მეტალურგებმა ახალი დიდებით შემოსეს თავიანთი შრომითი სახელოვანი გზა — პირველ და მეორე კვარტალში რესპუბლიკაში პირველობა და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვეს.

შრომითმა პათოსმა და აღმავლობამ იმატა მესამე კვარტალში. შემთხვევითი როდი იყო, რომ სწორედ ზესტაფონელი მეტალურგები გამოვიდნენ საქართველოს კომუნისტთა XXII ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების წამომწყებად. ისინი წლიური დავალების 24 დეკემბრისათვის შესრულებას და ათი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის დაზოგვას დაგვპირდნენ.

ზესტაფონელებმა ცხრა თვის გეგმა ორი კვირით ადრე შეასრულეს, ოქტომბრის ახგარიშში ათასობით ტონა ძვირფასი ლითონი გამოადნეს, უკვე დაზოგეს 10.435 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, გასწიეს 300 ათასამდე მანეთის მასალების ეკონომია, ლითონის თვითღირებულების. შემცირებით დაზოგეს 400 ათას მანეთამდე.

დიახ, მეტალურგებმა პირობა დადეს სამშობლოს მისცენ მეტი და ძვირფასი შენადნობი, ღირსეულად შეხვდნენ ოქტომბრის დიად დღესასწაულს და ქართველ კომუნისტთა XXII ყრილობას. მათი პირობა გაუტეხელია, მეტალურგების სიტყვა მათ მიერ გამოდნობილი ფოლადივით მტკიცეა.

ბ. ივანიძე.

მეგობრობისა და ძმობის მომღერალი

ამიერკავკასიის შრომელები უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნავენ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მომღერლის პოეტ საიათ-ნოვას დაბადების 250 წლისთავს. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში ეწყობა საღამოები, ლექციები შესანიშნავი პოეტის შემოქმედების შესახებ.

საიათ-ნოვას ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის ამსახველი დიდი გამოფენა გაიხსნა კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. გამოფენაზე ექსპონირებულია პოეტის ნაწარმოებები სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, მეცნიერთა შრომები საიათ-ნოვას შემოქმედების შესახებ.

დამთავრდა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, რომელიც საიათ-ნოვას მიეძღვნა. სესიაში სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მეცნიერებმა — პროფესორმა ვ. თოფურიამ და პროფესორმა მ. ჩიქოვანმა. მათ წაიკითხეს მოხსენებები „საიათ-ნოვას ქართული ლექსების ენა“ და „საიათ-ნოვა ქართულ ფოლკლორში“.

19 ოქტომბერს თბილისის საუბნიანის სახელობის სახელმწიფო სომხურ დრამატულ თეატრში ნაჩვენები იქნება ს. აკოფიანის პიესის „საიათ-ნოვას“ პრემიერა.

საიუბილეო დღეებში ეკრანებზე უჩვენებენ დოკუმენტურ ფილმს, რომელიც სომეხმა კინოდოკუმენტალისტებმა და სომხეთის ტელევიზიამ გადაიღეს. სომხეთის კინოსტუდია იღებს ორსერიან დოკუმენტურ-მხატვრულ ფილმს „საიათ-ნოვა“. ფილმის სცენარის ავტორია პოეტი ჰ. სევაგა. ამ ფილმის ნაწილს თბილისში გადაიღებენ.

საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექცია ამ დღეებში საიათ-ნოვასადმი მიძღვნილ საღამოს გამართავს. (საქდესი).

რკინიგზელების წარმატება

ჟუთაისი. (საკ. კორ.). სადგურ ჭუთაისი მეორის კოლექტივი დიდი ოქტომბრის 46-ე წლისთავისა და საქართველოს კპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და შესანიშნავ წარმატებებს აღწევს.

რკინიგზელებმა დატვირთვის რვა თვის გეგმა შეასრულეს 116,4 პროცენტით, ხოლო გადმოტვირთვისა — 118 პროცენტით. კიდევ უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს სექტემბრის პირველ ნახევარში.

განსელილ პერიოდში ნორმასთან შედარებით ვაგონების მოცდენა შემცირდა 54 წუთით და მარტო ამ ზნით აქ 20.000 მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღეს.

წინასაოქტომბრო და საყრილობო ვახტზე სასახელოდ შრომობენ ცვლები, რომლებსაც სადგურის მორიგეები ბ. კურტანიძე, ჰ. ტყეშელაშვილი და გ. შავგულიძე ხელმძღვანელობენ.

ინგლისის პრემიერ-მინისტრი ავად არის

ლონდონი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პრემიერ-მინისტრი მაკმილანი საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მან ოპერაცია უნდა გაიკეთოს.

მაკმილანის ავადმყოფობის დროს პრემიერ-მინისტრის მოვალეობას შესასრულებს პირველი სახელმწიფო მდივანი (პრემიერ-მინისტრის მოადგილე) რიჩარდ ბატლერი.

პრემიერ-მინისტრის კანცელარიის თავმჯდომარემ 8 ოქტომბერს გამოაცხადა, რომ როგორც ჩანს მაკმილანი, თავის მოვალეობის შესრულებას რამდენიმე კვირას ვეღარ შეძლებს.

ლონდონში უკვირთ მაკმილანის უეცარი გადაწყვეტილება დაწოლილიყო საავადმყოფოში, მით უმეტეს, რომ მას სიტყვა უნდა წარმოეთქვა კონსერვატიული პარტიის ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც 9 ოქტომბერს გაიმართება ბლეკპულში.

ლონდონის ყურნალისტთა წრეებში ეყრდნობიან ავტორიტეტულ წყაროებს და ხაზს უსვამენ, რომ ამ კონფერენციამ დიდი როლი უნდა შეასრულოს საკითხის გადაჭრაში — შეუძლია თუ არა მაკმილანს დარჩეს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, მაშინ როცა მკვეთრად დაეცა მისი პირადი პრესტიჟი და კონსერვატიული მთავრობის პრესტიჟიც.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში

ბიუროს სხდომა საბჭოთა მეურნეობაში

ბოლნისი. (საკ. კორ.). არაფლოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ქვლიგიძე, პარტბიუროს მდივანი ვ. ყურბანოვი და მთავარი აგრონომი კ. მარიტიძე უპასუხისმგებლობას იჩენდნენ მოსტნეულ კულტურათა ნათესების მოვლა-პატრონობისადმი. ამის შედეგად მათ საფრთხეში ჩააყენეს ბოსტნეულის მოსავლიანობისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმის შესრულება.

საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა ნაკლოვანებათა დაფარვის მიზნით თვალსაჩვენის გზასაც დაადგა. წელს საბჭოთა მეურნეობაში 106 ჰექტარზე უნდა დარგოთ და დაეთესათ ბოსტნეული, მაგრამ ეს დავალება ვერ შეასრულეს.

საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთა გულგრილობით მთლიანად ჩაიშალა 15 ჰექტარზე საზაფხულო კარტოფილის დარგვის დავალებაც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა, რომელმაც გამოამჟღავნა ეს ბოროტმოქმედებანი, საკითხი ბოლნისის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ბიუროს განსახილველად დაადგინა.

პარტიული კომიტეტის ბიუროს სხდომა საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა. ბიუროს მკაცრი პარტიული სასჯელები დაადო დამნაშავეთ და მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გასაძლიერებლად, მებოსტნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

გამოცდილების წარმოების

თელავის სამრეწველო-საწარმოო ზონის ფაბრიკა-ქარხნებმა, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციებმა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს ახორციელებენ, უკანასკნელ ხანებში გააძლიერეს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის ზრუნვა, ეს საშუალებას აძლევს მათ გამოავლინონ შიდარეზერვები. იბრძოლონ მაღალი რენტაბელობისათვის.

ამ ღონისძიებებმა გაზარდა საწარმოო სიმძლავრეები, აამაღლა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და გააუმჯობესა მისი ხარისხი.

თელავის სამრეწველო-საწარმოო კომიტეტი თავისი ბიუროს სხდომებზე სისტემატურად განიხილავს წარმოების სრულყოფისა და სახელმწიფო დავალებათა შესრულების საკითხებს.

წელს კომიტეტის ბიურომ იმსჯელა სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკაში საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების, თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში მაღალი რენტაბელობისათვის ბრძოლის მდგომარეობაზე და სხვ. ამ დღეებში კომიტეტის ბიურომ განიხილა გურჯაანის საშენ მასალათა წარმოებაში, თელავის ფიქალმამრმარილოსა და ახმეტის სატყეო კომბინატში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის მდგომარეობის საკითხი და მიიღო სათანადო დადგენილებანი.

კონფერენციის თემაა აღმზრდელი და აღსაზრდელი

ჭიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრი ხალხით იყო სავსე. კონფერენცია, რომლის თემა იყო „აღმზრდელი და აღსაზრდელი“, მოიწვიე ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა და საზოგადოება „ცოდნის“ ჭიათურის საქალაქო განყოფილებამ.

მოხსენებით თემაზე — „ოჯახისა და საზოგადოების როლი ახალგაზრდა თაობის აღზრდაში“ — გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ცხადიაშვილი. მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდაში საბჭოთა სკოლის ამოცანებს მიეძღვნა მეორე საშუალო სკოლის დირექტორის ს. კაპანაძის მოხსენება.

„ვისწავლოთ, ვიშრომოთ და ვიცხოვროთ კომუნისტურად“ — ასეთი იყო მესამე საშუალო სკოლის დირექტორის ნ. მუმლაძის მოხსენების თემა.

კონფერენციაზე საინტერესო სიტყვებით გამოვიდნენ მეორე და მესამე საშუალო სკოლების მშობელთა კომიტეტების თავმჯდომარეები ალ. ლეჟავა და დ. გაბუნია, სკოლა-ინტერნატის დირექტორი ნ. ჩაჩანიძე და სხვები.

სწავლა-აღზრდის საკითხებზე მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების სწავლულმა მდივანმა ბ. კიზირიამ.

კონფერენციის დ

პროექტირებას — ერთიანი ხელმძღვანელობა

მშენებლობის მტკივნეულ საკითხებზე

მშენებლობის იაფად, სწრაფად და მაღალხარისხოვნად წარმოების ერთ-ერთი მთავარი პირობაა ყოველი სამშენებლო ობიექტის დროულად მომარაგება სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციით. ტექნიკური დოკუმენტაცია კი წარმოადგენს ამა თუ იმ საპროექტო ორგანიზაციის, ზოგჯერ რამდენიმე საპროექტო ორგანიზაციის მრავალრიცხოვან კოლექტივთა შრომის ნაყოფს. ამატომ სავსებით გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საპროექტო სამუშაოთა მართებულ ორგანიზაციას, ე. ი. საპროექტო ინსტიტუტების სპეციალიზაციას, მათ შორის კავშირის განმტკიცებას და მათი მუშაობისადმი ერთიანი ხელმძღვანელობის განხორციელებას.

სწორედ ეს ორგანიზებულობა, ურთიერთშორის კავშირის სიმტკიცე, ერთიანი ხელმძღვანელობა აკლიათ ჩვენს საპროექტო ორგანიზაციებს. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია I კკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც, აღნიშნა რა პროექტირების ნაკლოვანებები, შეიმუშავა ღონისძიებები ერთიანი ტექნიკური პოლიტიკისა და პროექტირებისადმი ასევე ერთიანი ხელმძღვანელობის განსახორციელებლად. ამ მიზნისაკენ მიმართული ერთ-ერთი ღონისძიება იყო სამშენებლო პროექტირების საქმის მინდობა სსრ კავშირის მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტისათვის — სახმშენსათვის, ხოლო რესპუბლიკებში — იმავე მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტისადმი დაქვემდებარებული ორგანოებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში პროექტირების საქმეთა მოწესრიგების მხრივ მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს. საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი აერთიანებს მხოლოდ სამ საპროექტო ორგანიზაციას: სამსახურეტს, რომელიც აპროექტებს სამრეწველო დანიშნულების ობიექტებს, საქართველოს ქალაქმშენსახპროექტს, რომელიც მუშაობს საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის ობიექტების პროექტთა შედგენაზე და მესამეს — სოფლმშენსახპროექტს, რომელიც ამუშავებს ხშირად გვხვდება სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების, კვების, მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობის ობიექტების დაპროექტებისას. საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის ობიექტების დაპროექტებას ხელს ჰკიდებს თითქმის ყველა პროფილის საპროექტო ორგანიზაცია, მაშინ როდესაც სამისოდ არსებობს სპეციალიზებული საპროექტო ორგანიზაცია — საქართველოს ქალაქმშენსახპროექტი, რომელსაც საკუთარი ფილიალები აქვს ქუთაისშიც, ბათუმშიც, სოხუმშიც, ხოლო თბილისში არსებობს საგრძნობლად მძლავრი ორგანიზაცია ქალაქპროექტი, რომლებსაც შეუძლიათ ამ სამუშაოთა უფრო კვალიფიციურად და მაღალხარისხოვნად შესრულება.

პროექტირების დარგში მავნე პარალელიზმი იწვევს სახსრების უნაყოფო ხარჯვას და ზოგ შემთხვევაში საპროექტო სამუშაოთა დაბალ ხარისხსაც.

ყოველივე ეს ცხადს ხდის, რომ საჭიროა ჩვენს რესპუბლიკაში დაუყოვნებლივ შეეფიქროს პროექტირების საქმის რეორგანიზაციას, დაგეწყოთ სათანადო ღონისძიებათა განხორციელება არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად იმ ვარაუდით, რომ წლის ბოლომდე მთელი ეს მუშაობა მოკათვოთ, საპროექტო ორგანიზაციები მტკიცედ დაეუმორჩილოთ ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას და პროექტირებისადმი ერთიან ხელმძღვანელობას.

საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს (საქსახმშენს) უკვე დამუშავებული აქვს ღონისძიებები, რომელთა რეალიზაცია, ჩვენი აზრით, სავსებით უზრუნველყოფს პროექტირების საქმეში ერთიანი ხელმძღვანელობისა და ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას.

რა ღონისძიებებია დასახული? უწინარეს ყოვლისა საჭიროა საბინაო და სამოქალაქო მშენებლობის ობიექტთა პროექტირება მთლიანად, მთელი მოცულობით დაეკისროთ სპეციალიზებულ საპროექტო ორგანიზაციებს — საქართველოს ქალაქმშენსახპროექტს, თბილისის ქალაქპროექტს და სოფლმშენსახპროექტს; წყალსადენებისა და საკანალიზაციო ქსელების დაპროექტება, აგრეთვე საინჟინრო-საძიებო სამუშაოების შესრულება უნდა დაეკისროს საქართველოს ქალაქმშენსახპროექტს, რომელმაც საბოლოდ უნდა შექმნას სპეციალიზებული გამსხვილებული განყოფილება, მოამზადოს იგი სათანადო ტექნიკური საშუალებებითა და დაკომპლექტოს კვალიფიციური კადრებით. სამრეწველო დანიშნულების ობიექტების დაპროექტების საქმე კი უნდა მიეცეს სათანადო სპეციალიზებულ საპროექტო ორგანიზაციებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებით სამრეწველო დანიშნულების ობიექტთა სამშენებლო პროექტების შედგენა უნდა ხდებოდეს სსრ კავშირის მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტისათვის დაქვემდებარებულ სპეციალიზებულ საპროექტო ორგანიზაციებში. ამ წინადადების შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი გადაეცა სსრ კავშირის მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რომელსაც განზრახვა აქვს უს ინსტიტუტი (საქსახპროექტი) დაასპეციალოს ქიმიური მრეწველობის ობიექტთა დაპროექტებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო ორგანიზაციების ე. წ. ვიწრო სპეციალიზაცია ხელსაყრელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების დიდ ხვედრით წონასთან. საქართველოში კი, ასევე როგორც ამერიკავკასიის სხვა რესპუბლიკებში, საქმე გვაქვს მრავალდარგოვან მრეწველობასთან. ამ მრავალდარგოვან ზოგჯერთი იმდენად მცირე ხვედრითი წონისაა, რომ მიზანშეუწონელი იქნებოდა მისი პროფილის მიხედვით ცალკე სპეციალიზებული საპროექტო ორგანიზაციის შექმნა, რადგან ასეთ ინსტიტუტს ვერ დაეტვირთავდით სამუშაოთი, იძულებული გავხდებოდით მისთვის დაკვეთები სხვა რესპუბლიკებში გვეძებნა.

უფრო მართებული იქნება სპეციალიზებული საპროექტო ინსტიტუტის პროფილი ჩვენს რესპუბლიკაში განისაზღვროს რამდენიმე წამყვანი დარგით.

ახალი სამრეწველო კვანძების რაციონალურად განაშენიანებისათვის და ამ სამრეწველო კვანძებში სხვადასხვა პროფილის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების ურთიერთ ბლოკირებისა და კოოპერირების, აგრეთვე მოცემულ ტერიტორიაზე მათი მოხდენილი განლაგების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიგვაჩნია „სკ ქსახპროექტი“ გამოიყოს მოთავე საპროექტო ინსტიტუტად და დაეკისროს მას მოცემულ სამრეწველო კვანძებში სხვადასხვა პროფილის ობიექტების დამპროექტებელი ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია.

ცნობილია, მშენებლობის წარმატებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტიპურ პროექტირებას. საქართველოში 1956 წლს ტიპური პროექტების გამოყენების დონე მაგალითად, ბინათმშენებლობაში 31,7 პროცენტს აღწევდა. 1962 წლისათვის ამ დონემ უკვე 98 პროცენტი შეადგინა. ამის პირდაპირი შედეგია ის, რომ თანდათან მცირდება მშენებლობის ღირებულება. მაგალითად, 1958 წელს 1 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ჯდებოდა 176 მანეთი, ხოლო 1962 წელს — 147 მანეთი.

მშენებლობაში ტიპური პროექტების მასობრივად გამოყენებამ შექმნა მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდით წარმოების ფართო შესაძლებლობა, საქარხნო წესით დამზადებული კონსტრუქციებისა და ცალკე სამშენებლო ელემენტების გამოყენების ფართო ასპარეზი. ახლა ჩვენში ასაწყობი რკინაბეტონის სამშენებლო ელემენტებით ამოტტაკებენ საირგაკიო ქსელებსაც კი. ამ სამშენებლო ელემენტების ტიპური პროექტები დამუშავებულია საქართველოს წყალთა მეურნეობის საპროექტო ორგანიზაციის მიერ. სხვათა შორის, აღნიშნეს ღონისძიება, რომ რკინაბეტონის წყალსადენი სისტემაში შეიდგენენ სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების შექმნას, რომლებმაც უნდა განახორციელონ ტიპური და სიფასურინენტო პროექტირება მშენებლობის თითქმის ყველა დარგში — საბინაო, სასკოლო, უმაღლეს სასწავლებლების, ჯანმრთელობის დაცვის, კვების, სასპორტო და ადმინისტრაციული ობიექტების, წყალსადენების, თბომომარაგების და საგაზიფიკაციო ობიექტების მშენებლობაში.

ცენტრალურ ინსტიტუტებთან ერთად იქმნება კომპლექსური სამეცნიერო-საკვლევი ზონალური ინსტიტუტებიც. ერთ-ერთი ასეთი ზონალური ინსტიტუტი შეიქმნება ჩვენს რესპუბლიკაშიც.

ეს საშუალებას მოგვცემს უკეთესად გავართვათ თავი პარტიის მიერ ჩვენი დამპროექტებლების წინაშე დასახულ დიდ ამოცანებს და ღირსეული წვლილი შევიტანოთ ტექნიკური პროგრესის საგანძურში.

თ. ჟუთათელაძე,
საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ადამიანი კოლექტივში იზრდება

ერთი მაღაროს ცხოვრების გაკვეთილები

სერგო არსენისძე გაფრინდაშვილი ხელცივ კაცად არ იყო მიჩნეული. შრომობდა და ცხოვრობდა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ერთხელ შეცდა და... წვრილმანი ქურდობისათვის მიუსაჯეს.

სერგო პატიმრობიდან დაბრუნდა. რცხვენოდა, მაგრამ სახლში ხომ ვერ ჩაიკეტებოდა, ოჯახს მიხედვა უნდოდა. კალინინის სახელობის მაღაროს დირექტორთან მივიდა და სამუშაო სთხოვა. თავისი წარსულიც არ დაუმალავს. დირექტორმა სერგოს სამუშაოდ მიღებაზე თავი შეიკავა. მთის საუბარს მაღაროს პარტბიუროს მდივანი შემოესწრო. საქმის შინაარსს რომ გაეცნო, ასეთი წინადადება წამოაყენა:

— მოდით, სერგო შეავხვედროთ იმ ცვლის მუშებს, რომლებთანაც უნდა იმუშაოს. თავისი წარსული უამბოს მაღაროელებს, და თუ ისინი უშუამდგომლებენ, თავს იდებენ მის აღზრდა-გამოსწორებას, მაშინ სამუშაოზეც მივიღოთ.

დირექტორი ამ აზრს დაეთანხმა, მაგრამ სერგომ იუარა — მუშებთან კრებაზე ნუ გამომიყვანთ, ეს ჩემთვის მეორე სასჯელი იქნებოო.

როცა სერგო დარწმუნდა, რომ მაღაროს ხელმძღვანელები თავიანთ აზრს არ ცვლიდნენ, დათანხმდა.

იგი პირველი საწარმოო უბნის იმ ცვლაში წაიყვანეს, რომელსაც ივ. ბიწაძე ხელმძღვანელობს. ცვლის წინ მაღაროელებს პარტბიუროს მდივანმა ა. კავთელაძემ სერგოს ბიოგრაფია გააცნო. ბევრი მუშა ადრეც იცნობდა მას.

პირველი სიტყვა სერგოს მეზობლებმა პავლე და გიორგი გაფრინდაშვილებმა აიღეს. ისინი მაღაროელებმა ა. ხვედელიძემ, შ. ჭიღლაძემ, რ. ცერცვაძემ და სხვ. შეცვალეს. ყველაფერი დაუფიცავად, პირდაპირ უთხრეს სერგოს. საჯაროდ გაკიცხეს, შეარცხვინეს იგი, მაგრამ მუშური სულგრძელობა გამოიჩინეს და შუამდგომლობა აღუძრეს მათ ცვლაში გამოეგზავნათ სამუშაოდ. სერგო ლაპარაკის ხასიათზე აღარ იყო, მაგრამ ოფლი მოიწმინდა და მაინც თქვა: — ერთი შეცდომა მომივიდა, სასჯელი მოვიხადე, ეს ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება... პირობას გაძლევთ, რომ პატიოსნად ვიმუშავებ, არც ჩემს თავს შევარცხვენ, არც ოჯახს, არც მაღაროს კოლექტივს...

დაიწერა ბრძანება. სერგომ მებრიგის დამხმარედ დაიწყო მუშაობა. მას მაღაროელები მეგობრულად, თავაზიანად შეხვდნენ. შრომაში შველოდნენ, ეხმარებოდნენ, წარსულს არ ახსენებდნენ, რომ უხერხულობაში არ ჩაეგდოთ... მას პარტბიუროს მდივანიც რამდენჯერმე შეხედა, გულღიად ესაუბრა, ოჯახის ამკარი გამოჰკითხა, -რჩევა-დარიგება მისცა...

აგერ ხუთი თვეა სერგო მაღაროში მივიდა და კეთილსინდისიერად მუშაობს, დაკალებებს 120 პროცენტით ასრულებს, არ იცის რა არის წუხილ დაგვიანება, სამუშაოს გაცდენა. იგი ერთ-ერთი წესიერი და გამრჯე მუშაა, მაღაროელების პატივისცემა დაიმსახურა.

მეორე მაგალითი. ახალგაზრდა ტ. გ. მოდებაძე ხულიგნობდა. სწავლა მიატოვა და სმას მიჰყო ხელი. ორ ჭიქა ღვინოს რომ დალევდა, ყველაფერს იკლებდა, ქალიშვილს შეურაცხყოფდა, აყალ-მაყალის წამომწყები იყო. ხულიგნობისათვის სამჯერ გასამართლეს.

ბოლოს მშობლებმა გადაწყვიტეს შვილი წარმოებაში ჩაებათ. ისიც კალინინის სახელობის მაღაროში მოხვდა. მისი სამუშაოზე მიღება ცოტა ძნელიც იყო. შიშობდნენ: ვაითუ არ უღალატოს ჩვეულებასო. მაგრამ ტ. მოდებაძეს სიტყვა დადო, რომ წესიერად იმუშავებდა, და მისი აღზრდა თავს იდო კომუნისტური შრომის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ირ. აბულაძე უძღვება. ტ. მოდებაძე ტრანსპორტიორის მეძანქანეა, მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში სწავლა განაახლა. თითქოს ხელახლა დაიბადა, ზნე-ჩვეულება გამოიცვალა. მას ვეღარ იცნობთ, ამხანაგებთან თავაზიანი და გულისხმიერია, შრომაში გამრჯე და სწავლაში ბეჯითი. ტ. მოდებაძის სწორ გზაზე დაყენებაში დიდია კოლექტივის, ამხანაგური დახმარების ძალა.

მაღაროში ეს ერთეული შემთხვევა როდია. ამ კოლექტივში იზრდება ორმოცდაათამდე გზასაცდენილი ადამიანი. პოლიტიკურ-აღმზრდელობითმა მუშაობამ, მაღაროს კოლექტივის ზემოქმედებამ, მეგობრულმა რჩევა-მითითებამ პატიოსან შრომას დაუბრუნა ბევრი მათგანი.

მშრომელი კოლექტივი, მისი მრავალფეროვანი ცხოვრება და შრომა ახალი ადამიანის აღზრდის შესანიშნავი სკოლაა. კოლექტიურ შემოქმედებითს შრომაში ყალიბდება ახალი ადამიანი, მისი კომუნისტური მსოფლგაგება და შეხედულებები, მისი ხასიათისა და უნარის ახალი ჩვეება. კოლექტივი ადამიანის აღმზრდელია წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში. მაგრამ კოლექტიურ შრომაში იზრდება არა მარტო ის, ვისაც მეგობრული მხარდაჭერა და ხასიათის მტკიცე ჩვევების გამომუშავება ესაჭიროება, არამედ ამ პროცესში უფრო მომწიფებული ხდება თვით აღმზრდელი — საწარმოს კოლექტივიც.

შრომისადმი სიყვარულის ჩანერგვა, კომუნისტური შრომის წოდების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრება ახალი ადამიანის აღზრდის მძლავრი ფაქტორებია. მაღაროს პარტიული ორგანიზაცია, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტი, ძირეული პრესა და ადგილობრივი რადიოგადაცემების რედაქცია, მომხსენებელთა ჯგუფი და პროპაგანდისტ-აგიტატორები მცირე მუშაობას. როდი ეწევიან კომუნისტური შრომის გავრცელების, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, კაპიტალიზმის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრის, ახალი -ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბებისათვის.

მაღაროელებს ხშირად ესაუბრებიან თემებზე — „შრომა და კომუნიზმი გაუთაოფელია“, „შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“, „ვინც არ მუშაობს — ის არ ჭამს“... პოლიტიკური განათლების კაბინეტში მოწყობილია ლიტერატურის, დიაგრამებისა, ფოტოსურათების გამოფენები. თვალსაჩინო ადგილზეა მ. გორკის სიტყვები — „ყველაფერი, რაც კარგია ჩემში, წიგნმა მომცა“.

აქ გამოფენილია მაღაროს შუქურების აკაკი და მიხეილ ღუღუნიშვილების, ხ. ხარაზიშვილის, ა. ივანოვის, აზა ყიფშიძის, ნინული კახნიაშვილისა და სხვათა ფოტოსურათები მათი მუშაობის მეთოდების აღწერით. ყურადღებას იქცევს მაღაროელი რაციონალიზატორების შ. ერეთლის, გ. გაფრინდაშვილის, ე. ლეჟავას, გ. ჩაფრანაძის, რ. ბრეგვაძის, ა. ტალახაძის საქმიანობა. დიაგრამა გვაუწყებს, რომ მაღაროელ რაციონალიზატორებს 1960 წელს თუ 8.746 მანეთი დაუზოგავთ, 1962 წელს ეს თანხა 55.774 მანეთამდე ასულა. წელს კი უკეთესი მაჩვენებლებია.

მაგრამ მაღაროელებს ყველაზე მეტად იზიდავს სტენდი, რომელიც ასახავს ამ მაღაროს ყოფილი მუშის, საბჭოთა კავშირის გმირის სერგო ჯიღლაძის შრომასა და ბრძოლას. აქ ხშირად იკრიბებიან ახალგაზრდა მაღაროელები, მათ უამობენ გმირულად დაღუპული ს. ჯიღლაძის საბრძოლო ეპიზოდებზე, და ახალგაზრდებიც სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით იმსჭვალებიან.

როცა სიტყვა კომუნისტურ შრომაზე ჩამოვარდება, უეჭველად უდა გავიხსენოთ, რომ პირველად ჭიათურაში სწორედ ამ მაღაროს მეორე უბნის საქმლოტაციო ცვლას მიეკუთვნა კომუნისტური შრომის ცვლის სატიტო სახელი. ეს მოძრაობა შემდგ ყველა მაღაროსა და ფაბრიკაში გავრცელდა. საკმარისია ითქვას, რომ მაღაროს ამ მაღაროში ახლა კომუნისტური შრომის ერთი უბანი, რვა ცვლა და მადნის გამამდიდრებელი ერთი ფაბრიკაა. კომუნისტური შრომის დამკვრელია 305 მაღაროელი. კომუნისტიკური შრომის სახელისთვის იბრძვის მაღაროს მთელი კოლექტივი.

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობამ ბუნებრივად გამოიწვია მაღაროელთა ლტოლვა განათლებისაკენ, კულტურულ-პოლიტიკური და ტექნიკურ-ეკონომიური ჰორიზონტის გაფართოებისაკენ. უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ სასწავლებლებში 90 მაღაროელი სწავლობს. თუ ამას დავუმატებთ წარმოების ეკონომიკის სემინარებსა და პოლიტწრეებში ჩაბმულთა რაოდენობას, გამოდის, რომ ყოველი მეორე მაღაროელი სწავლობს.

ადამიანთა აღზრდაში წვლილი შეაქვთ კომკავშირს, ამხანაგურ სასამართლოს, სახალხო რაზმს. ამას წინათ კომკავშირის კრებამ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თაობაზე იმსჯელა. მოხსენებით სახალხო რაზმეულის უფროსი ა. ვაჩაძე გამოვიდა. კამათში ბამოსულმა კომკავშირელებმა ნ. გაფრინდაშვილმა, ვ. სარალიძემ, ი. შეულაშვილმა მკაცრად გაკიცხეს და დაგმეს მოხელეგნო ყმაწვილები ა. ქარსელაძე, ჯ. ჭიღლაძე, ე. არუსია, კ. ხუციშვილი. ეს ჭკუის სასწავლი გაკვეთილი გამოდგა. ისინი უფრო თავდაჭერილნი, წესიერად იქცევიან, და ხულიგნური გამოხდომებიც შემცირდა.

მაღაროს საშუალო და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა ახალგაზრდულია. მარტო 32 ცვლის უფროსიდან 23 ახალგაზრდა სპეციალისტია. მათ აკლდათ პოლიტიკურ-ტექნიკური წრთობა. პარტბიუროს ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოდნის ჰორიზონტზე იმსჯელა. გამოირკვა, რომ ზოგი მათგანი გაზეთსაც არ კითხულობდა, კინოსა და თეატრში არ დაიარებოდა, სუსტად ერკვეოდა წარმოების ეკონომიკასა და დაგეგმვაში. გადაწყდა მოეწყოთ ცვლის უფროსთა თათბირ-სემინარი.

სემინარზე მაღაროს მთავარი ინჟინერი გ. სამყურაშვილი გამოვიდა მოხსენებით—„ცვლის უფროსის როლი წარმოებაში“. მაღარკომის თავმჯდომარის დ. კახნიაშვილის მოხსენების თემა იყო— „ცვლის უფროსი ხელქვეითების აღზრდელია“, წარმოების დაგეგმვის, შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის საკითხებს ეხებოდა საგეგმო განყოფილების უფროსის შ. აბრამიშვილისა და შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსის ვ. გაფრინდაშვილის მოხსენებები. აქ თავიანთ გამოცდილებაზე ილაპარაკეს მოწინავე ცვლის უფროსებმა ი. წაქაძემ, პ. ჩოლოყაშვილმა, ტ. ბრეგვაძემ. ეს ღონისძიება ბევრ რამეში დაეხმარა ახალგაზრდა სპეციალისტებს.

იგნისის ბოლო იყო. პარტიული კრების დღის წესრიგში ასეთი საკითხი იდგა: „როგორ ვასრულებთ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის მოთხოვნებს?“ პარტიულმა კრებამ მეტად საინტერესოდ და შინაარსიანად ჩაიარა. მოხსენებით პარტბიუროს მდივანი ა. კავთელაძე გამოვიდა. მას ფილოსოფიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, არმიაში პოლიტმუშაკად იყო და როდი ეძნელება კომუნისტური მორალის საკითხებზე მსჯელობა.

